საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №45/ნ

2011 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე[3]" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასური შემდეგი ოდენობით:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების საფუძველზე ერთი მანდატურის საშტატო ერთეულით გაწეული მომსახურების საფასური თვეში განისაზღვროს 1400 ლარის ოდენობით;

ბ) კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით შექმნილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების საფუძველზე ერთი მანდატურის საშტატო ერთეულით გაწეული მომსახურების საფასური თვეში განისაზღვროს 1400 ლარის ოდენობით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №03/ნ - ვებგვერდი, 30.01.2019წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №141/ნ - ვებგვერდი, 28.12.2022წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 იანვრის ბრძანება №10/ნ - ვებგვერდი, 15.01.2024წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №215/ნ - ვებგვერდი, 31.12.2024წ.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი